საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღბუღა I

აღბუღა I, ჯაყელი, სამცხის ათაბაგი, საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარი XIV ს. II ნახევარში. სჯულმდებელი. თავისი პაპის, ბექა მანდატურთუხუცესის, სამართლის წიგნი განაახლა და საკუთარი კანონებით შეავსო. ეს კანონები ცნობილია „აღბუღას სამართლის“ სახელწოდებით (იხ. „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“).

ლიტ.: დ ო ლ ი ძ ე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, ტფ., 1912; [ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ნ.] უ რ ბ ნ ე ლ ი ნ., ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, წგ.: რჩეული იურიდიული ნაწერები, ი. დოლიძის *გამოც.*, თბ., 1982.

ი. დოლიძე